

ვაკანტურ თანამდებობაზე გამოსაცხადებელი კონკურსის პირობები

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიზნობრივი პროგრამების სამსახური „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში

აცხადებს ქართულის, როგორც მეორე ენის დამხმარე მასწავლებელთა შესარჩევ კონკურსს

ვაკანსიების რაოდენობა: 25

თანამდებობის /პოზიციის დასახელება	ქართულის, როგორც მეორე ენის დამხმარე მასწავლებელი
კატეგორია	☐ საშტატო ☒ შტატგარეშე
ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო (ხელფასი)	625-750
დაფინანსების წყარო (აპარატი ან პროგრამული დაფინანსება)	„არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა“
ხელშეკრულების ხანგრძლივობა (ხელშეკრულების დაწყებისა და დასრულების თარიღი)	15.09.2017 – 15.06.2018

გამოსაცდელი ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
უშუალო ხელმძღვანელი მიუთითეთ თანამდებობა	„არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის“ მენეჯერი
დაქვემდებარებული პირები	
თანამდებობის დანიშნულება / მიზანი თანამდებობრივი მოვალეობების ზოგადი აღწერა	პროგრამის მიზანია სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი პედაგოგების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და ქართული ენის სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.
სამუშაო აღწერა (ძირითადი მოვალეობები)	1. სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის ან კახეთის არაქართულენოვანი სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის ადგილობრივ მასწავლებელთან ერთად გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტის შესაბამისად; 2. ამავე პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ მეთოდურ კურსში მონაწილეობა; 3. არაფორმალური სწავლების ხელშეწყობა (სკოლაში საგნობრივი წრის შექმნა, დამატებითი გაკვეთილების ჩატარება, შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა, ღონისძიებების ორგანიზება); 4. ცენტრის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობა; 5. პროგრამის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშების მომზადება და წარდგენა.

მინიმალური განათლება
მიუთითეთ განათლების ხარისხი და სპეციალობა, რომელიც აუცილებელია თანამდებობრივი მოვალეობის შესასრულებლად

• **სავალდებულო:**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ უმაღლესი განათლების მქონე კანდიდატებს რომელთაც აქვთ:

უმაღლესი განათლება შესაბამისი მიმართულებით: **ქართული ენა და ლიტერატურა; ქართული, როგორც მეორე ენა ან დაწყებითი განათლება (ძირითადი ან მეორადი სპეციალობა) დოკუმენტის ასლის ატვირთვა სავალდებულოა.**

ან უმაღლესი განათლება ნებისმიერი მიმართულებით და ამასთანავე აკმაყოფილებენ ჩამოთვლილთაგან მინიმუმ ერთ მოთხოვნას:

- ✓ თავისუფალი კრედიტების სახით მოპოვებული აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის, ქართულის, როგორც მეორე ენის ან დაწყებით საფეხურზე სწავლების (პედაგოგიკის) მინიმუმ 30 კრედიტი (სავალდებულოა დიპლომის დანართის ასლის ატვირთვა დამატებითი დოკუმენტაციის ველში);
- ✓ ბოლო 5 წლის განმავლობაში შესაბამისი საგნის სწავლების მინიმუმ 2-წლიანი უწყვეტი გამოცდილება (სავალდებულოა სტაჟის დამადასტურებელი ცნობის (ან შრომის წიგნაკის) ასლის ატვირთვა დამატებითი დოკუმენტაციის ველში);
- ✓ სერტიფიცირება შესაბამის საგანში ან/და საგნობრივი გამოცდის ჩაბარება ქართული, როგორც მეორე ენაში; სავალდებულოა სერტიფიკატის ასლის ატვირთვა დამატებითი დოკუმენტაციის ველში).

შენიშვნა:

- სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაციის ან მოთხოვნილი დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატი მოიხსნება კონკურსიდან.

სამუშაო გამოცდილება მიუთითეთ რამდენხნისა და რა სახის სამუშაო გამოცდილება შეესაბამება თანამდებობას	
ცოდნა/კომპეტენცია მიუთითეთ რა კომპეტენციებია საჭირო ამ თანამდებობრივი მოვალეობების შესასრულებლად (მაგ.: ორგანიზაციის მართვის, დაგეგმარების, მონიტორინგის, ანალიტიკური, კომპიუტერული ცოდნა და ა.შ.)	- ტოლერანტული დამოკიდებულება განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის, კულტურისა და რელიგიის მიმართ; - სწავლების თანამედროვე მიდგომების ცოდნა; - ეფექტური კომუნიკაციის უნარი; - ანალიტიკური აზროვნების უნარი; - საოფისე კომპიუტერული პროგრამების მოხმარებისა და ინტერნეტით სარგებლობის უნარი; - საქმიანობის ორგანიზების უნარი; - თანამშრომლობის და გუნდური მუშაობის უნარი.
სამართლებრივი აქტების ცოდნა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის ბრძანება #1014 "მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ"
ენების ცოდნა მიუთითეთ რომელი ენის ცოდნას და რა დონეზე მოითხოვს ეს თანამდებობა	
კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები	საოფისე კომპიუტერული პროგრამები: Word, Excel, PowerPoint, Internet.
დამატებითი მოთხოვნები	

დამატებითი ინფორმაცია

** კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატი უნდა დარეგისტრირდეს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე <https://www.hr.gov.ge/>

**განაცხადების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 10 კალენდარული დღე;

** კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად: 1. შემოსული განცხადებების გადარჩევა; 2. გასაუბრება. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით;

** შერჩეული კანდიდატები 2017-2018 სასწავლო წლიდან დასაქმდებიან სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის ან კახეთის არაქართულენოვან სკოლებში.

** პროგრამაში 2018-2019 სასწავლო წლის დასრულებამდე წარმატებით მონაწილეობის შემთხვევაში პროგრამის მონაწილეს დაუფინანსდება სწავლა საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების ან განათლების ადმინისტრირების მიმართულებით სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის ოდენობით.